სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №34

ქ. ქუთაისი 19 სექტემბერი 2019 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად.

ერთის მხრივ შპს საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010“, მისი დირექტორის ტრისტანი ჭაბუკიანის სახით, (მისამართი,რეკვიზიტები – ქ.ქუთაისი, როძევიჩის ქ №2ა, ს/ნ 412670435, სს “VTB ბანკი ჯორჯია”- ქუთაისის ფილიალი, მფო UGBGE22, ა/ა GE08VT0500000000363408 ტელ: (0431 25-29-27) (შემდგომში „შემსყიდველი“)

მეორეს მხრივ შპს გადამზიდავი 2017,მისი დირექტორის დავით დვალიშვილის სახით, (მისამართი: ქ.ქუთაისი,ნიკეას მე–9 ჩიხიN2ა, ს/ნ 412718894, ს.ს „ თი–ბი–სი“ ბანკი, ბ/კ TBCBGE22 ა/ა GE85TB7747236080100004) (შემდგომში „მიმწოდებელი“)

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1 სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა (შპს საკალათბურთო კლუბი ''ქუთაისი 2010 '' -ის ავტობუსით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა 2019 წლის 19 სექტემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

1.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა - 4995/ ოთხიათასცხრაასოთხმოცდა–თხუთმეტი/ ლარი.

1.3. კლასიფიკატორის კოდი – 60100000

1.4 ანგარიშწორება განხორციელდება საკუთარი სახსრებიდან. (საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მიერ ჩამორიხული თანხებიდან)

2.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

„შემსყიდველის“ მხრიდან შპს „საკალათბურთო კლუბი “ქუთაისი-2010“ "მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ ან უკვე გასაწევ მომსახურებაზე კონტროლს განახორციელებს, თანახმად საქართველოში მოქმედი ნორმების, სტანდარტებისა და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში გააჩნია უფლება შეაჩეროს მომსახურება.

3. გარანტია

„მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ განახორციელებს მომსახურებას მაღალ ეფექტურად და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით.

4. ანგარიშსწორება

ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის მომართვის საფუძველზე.

4.2 მიმწოდებლის წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს :
ა) ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების მოცულობა და ღირებულება, ანგარიშფაქტურისა, ფაქტიურად დახარჯული კილომეტრაჟისა და მიღება_ჩაბარების აქტის სახით.

4.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო

4.4 ანგარიშსწორების ვადაა: მომსახურების დასრულების შემდგომ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა

5.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა განსაზღვრულია მასზე ხელისმოწერის დღიდან – 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1განხორციელებული მომსახურების დამტკიცებას ახორციელებს შპს „საკალათბურთო კლუბი "ქუთაისი-2010–ის დირექტორი ტრისტანი ჭაბუკიანი შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე.

7. ფასები

7.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.

7.2 გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

7.3 დაუძლეველი ძალის პირობებში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1დაუძლეველი ძალის გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

8.1.1 ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულების 10% ოდენობით.

8.2საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

8.3საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

8.4დაუძლეველი ძალის პირობებში.

9. მხარეთა უფლება მოვალეობები

9.1შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2 მხარე, რომელსაც შეექმნა დაუძლეველი ძალის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

12. შეტყობინება

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1“შემსიდველი“ პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

შპს „საკალათბურთო კლუბი “ქუთაისი-2010“
მის: ქ. ქუთაისი, როძევიჩის ქ 2ა
ს.ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ქუთაისი ფილიალი
ბ/კოდი: **UGBGE22**
ა/ა **GE08VT0500000000363408**
ს/ნ 412670435
შპს „საკალათბურთო კლუბი “ქუთაისი-2010“
დირექტორი:

Tristani Tchabukiani

Digitally signed by Tristani Tchabukiani
Date: 2019.09.19 12:35:11 +04'00'

ტრისტანი ჭაბუკიანი

მიმწოდებელი:

შპს გადამზიდავი 2017
ქ.ქუთაისი,ნიკეას მე–9 ჩიხი,2ა
ს.ს „თი–ბი–სი“ბანკი
ბ/კ TBCBGE22
ა/ა GE85TB7747236080100004
ს/ნ 412718894

Daviti Dvalishvili

Подписано цифровой подписью: Daviti Dvalishvili
DN: cn=Daviti Dvalishvili, serialNumber=60001138841, o=Citizen, c=GE
Дата: 2019.09.20 13:10:39 +04'00'
Версия Adobe Acrobat Reader: 2019.012.20040

დავით დვალიშვილი

ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ

მიმწოდებლის დასახელება - *შპს გადამზიდავი-2017*----------

№	საქონლის აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1.	სატრანსპორტო /ავტობუსით მგზავრობის/ მომსახურების შესყიდვა			4995 ლარი	ქუთაისი	19.09.2019 – 31.12.2019

მიმწოდებლის ხელმოწერა: / დ.დვალიშვილი/

Daviti Dvalishvili

Подписано цифровой подписью: Daviti Dvalishvili
DN: cn=Daviti Dvalishvili, serialNumber=60001138841, o=Citizen, c=GE
Дата: 2019.09.20 13:11:50 +04'00'
Версия Adobe Acrobat Reader: 2019.012.20040